<u>დანართი #1</u>

ღია კონკურსის პროგრამა, პირობები, კანდიდატის შეფასების ფორმა და ჩატარების გრაფიკი

<u>ვაკანტური თანამდებობა</u>

ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის, ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის ვივარიუმის სპეციალისტი.

სამუშაო განკვეთი: სრული
ანაზღაურება: 650 ლარი (დარიცხული თანხა)

<u>საკონკურსო კომისიის მისამართი</u>

მისამართი: 0198 თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №99
ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge
ტელეფონი: 116001

<u>საკვალიფიკაციო მოთხოვნები:</u>

განათლება:

სავალდებულოა: უმაღლესი განათლება: ბიოლოგიის, ზოოლოგიის ან ვეტერინარიის მიმართულებით.
სავალდებულოა: არანაკლებ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება ვეტერინარიის მიმართულებით.
სავალდებულოა: კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office: Word, Excel, Power Point, Outlook);

უნარ-ჩვევები:

გუნდური მუშაობის უნარი;
ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
დროის ეფექტურად მართვის უნარი;

<u>ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობა:</u>

- კორესპონდენციასთან მუშაობა, დოკუმენტაციის გაფორმება მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დაცვით;
- რეზოლუციით განსაზღვრული დეპარატმენტის უფროსის დავალებების შესრულება;
- ვივარიუმში ყოველთვიური ცხოველების რაოდენობის, ნამატის და გასავლის შესახებ ანგარიშგების წარმოება;
- განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა გამომწვევებთან ასოცირებული ლაბორატორიული დიაგნოსტიკისთვის საჭირო ცხოველების გამრავლების კონტროლი და ლაბორატორიულ ცხოველებზე ექსპერიმენტების განხორციელებისათვის გადარჩევა-მომზადება;
- ლაბორატორიული ცხოველებისთვის საკვების გაცემა, საკვების დადგენილი ნორმების შესაბამისად;
- ვივარიუმის სანიტარულ მდგომარეობაზე ზედამხედველობა;
- ვივარიუმში სისტემატიური დერატიზაციის, დეზინფექციის, დეზინსექციის ჩატარება;

კონკურსის წესი

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია და შეავსონ აპლიკაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა ატვირთოს:
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი);
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;
- მიუთითოს ერთი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.
დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

კონკურსის ეტაპები

- განცხადებების გადარჩევა
- ზეპირი დავალება
- გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 3 თვის ვადაში.